

პირველად საქართველოში !!!

თეატრალური კოსტუმებისა და აქსესუარების პროფესიული სკოლა, საქართველოს შოთა რუსთაველის თატარისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით, აცხადებს განცხადებების მიღებას საპილოტე სასწავლო კურსზე „თეატრალური კოსტუმი-აქსესუარის კონცეფცია და რეალიზაცია“, რომელიც წარმოადგენს საფუძველს „თეატრალური კოსტუმებისა და აქსესუარების ოსტატის ასისტენტის“ პროფესიული კურსისთვის.

კურსის მიზანია: თეატრალური კოსტუმებისა და აქსესუარების შექმნის ხელობის დაუფლება.

კურსზე შერჩეული მსმენელი შეისწავლის კოსტუმის და აქსესუარების კონსტრუირებას, შეკერვას, გაფორმებას, გადაკეთებას, წმენდასა და მოვლა-შენახვას. გაეცნობიან კოსტუმისა და ხელოვნების ისტორიას.

საპილოტე პროექტის ხანგძლივობა 17 თვე. შერჩეული მსმენელებისათვის სწავლა უფასოა.

საპილოტე პროექტის მონაწილეები სრული კურსის გავლის შემდეგ მიიღებენ სერტიფიკატს.

აღნიშნული პროექტის მხარდამჭერები არიან:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“;
- პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი;
- დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო ფონდი



დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

რუსთაველის 19, ოთახი D 4;

აღმაშენებლის 40, ოთახი 207;

ტელ:+995 577 288 716

ელ-ფოსტა: gpkhakadze@gmail.com